ხელშეკრულება №254

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური 6 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის **ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე **მხრივ,** შპს ბილდ.ჯი წარმოდგენილი დირექტორის დავით ჯინჭარაძის სახით, **საინ.კოდ 441993871** (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N13 ბრძანებით დამკიცებული ,,გამარტივებული შესყდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 დეკემბრის N1924 ბრძანების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი - 100%.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის 10320 კვმ მოთუთიებული შიფერისებრი თუნუქის სახურავის შეძენა (1 კვმ ღირებულება - 11 ლარი, სისქით 0,40 მმ, სიგრძე არაუმეტეს 2მ)
CPV 44112400

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 113520 (ასცამეტიათასხუთასოცი) ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი კომისია.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.
6.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2018 წლის 6 დეკემბრიდან 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2018 წლის 6 დეკემბრიდან 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

12.2 xelSekrulebis moqmedebis vada ganisazRvreba 2018 წლის 6 დეკემბრიდან 2019 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ---------- ი. კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
ს.კ. 242008705
მის: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

„მიმწოდებელი“ ---------- დ. ჯინჭარაძე

შპს ბილდ.ჯი
მისამართი: ჩოხატაური, სოფ. ჯვარცხმა
საიდენტიფიკაციო კოდი: №441993871
ტელეფონის ნომერი: 577747997
საბანკო რეკვიზიტები: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE10TB7443236050100001

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური 06 დეკემბერი 2018 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „ბილდ ჯი"-ს (ს.კ.441993871) შორის 2018 წლის 06 დეკემბერს გაფორმებული N254 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გამარტივებულ შესყიდვაში (კლასიფიკატორის CPV კოდი - 44112400, დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა